განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქციით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებულია ფიზიკური პირების მიერ პრივატიზების წესით უსასყიდლოდ მიღებული ბინების ღირებულებით წარმოშობილი შემოსავლები; რაც ქმნის უხერხულ სიტუაციას, როდესაც სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ, ან/და სიმბოლურ ფასად გადაცემულ ქონებაზე, ფიზიკური პირი იძულებული ხდება გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი – ქონების სიმბოლურ ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის სხვაობიდან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

პროექტი მიზნად ისახავს მოაწესრიგოს ზემოთაღნიშნული პრობლემები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ცვლილებებით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლდება ფიზიკური პირების მიერ პრივატიზების წესით მიღებული ქონების ღირებულება მასში გადახდილი ფასის მიუხედავად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

საბაზრო ფასის განსაზღვრის სპეციფიკიდან გამომდინარე (რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ამ კანონპროექტის ინიციირების აუცილებლობა) ამ ეტაპზე ძნელია საშემოსავლო ნაწილზე გავლენის ზუსტი პარამეტრის განსაზღვრა. ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ უმეტეს შემთხვევაში საგადასახადო სამსახურების მიერ ფაქტიური დარიცხვები განხორციელებული არ არის, რის გამოც შემოსავლების გეგმიური მაჩვენებლის შემცირება არ მოხდება.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ფიზიკური პირები გათავისუფლდებიან ამჟამად მოქმედი უსამართლო დაბეგვრისაგან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში საერთაშორისო ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი კობა ხაბაზი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი კობა ხაბაზი.